DOI: 10.51364/26679604.jcpr.2021.v02i02.004

ეთერ ბოკელავაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო
eter.bokelavadze@tsu.ge

„სერბთა და ბერძენთა იმპერატორი“ სტეფანე დუშანი და ათონის ივერთა მონასტერი (XIV საუკუნის 30-40-იანი წლები)

XIV საუკუნის შუა ხანები უაღრესად საინტერესო ეპოქას წარმოადგენს ბიზანტიის იმპერიის ისტორიაში. პალეოლოგოსების მმართველობის დროს არსებულმა მწვავე შიდა პოლიტიკურმა, სოციალურ-ეკონომიკურმა და რელიგიურმა კრიზისმა, რომელსაც თან ერთოდა საგარეო საფრთხე, შეუქცევადი გახადა იმპერიის დაკნინებისა და დამცრობის პროცესი. სწორედ აღნიშნულ პერიოდში, ძლიერების ზენიტს აღწევს სერბეთის სახელმწიფო, რომელიც ჯერ კიდევ XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ზრდის ტერიტორიულ საზღვრებს ბალკანეთზე და ბიზანტიის საიმპერატორო ხელისუფლებას აიძულებს, ცნოს სერბების მიერ წარმოებული ომების ყველა შედეგი.

1331 წლიდან სერბეთის ტახტს იკავებს ნემანიჩების საგვარეულოს წარმომადგენელი - სტეფანე IV დუშანი, რომელიც მიზნად ისახავს თავისი ძალაუფლების ქვეშ მთელი ბალკანეთის ნახევარკუნძულის გაერთიანებას და კონსტანტინოპოლში ბიზანტიის იმპერატორად კურთხევას. სტეფანე დუშანი ეტაპობრივად იკავებს ბიზანტიის იმპერიაში შემავალ მიწებს (მაკედონიას, ეპირს, თესალიას და თრაკიის ნაწილს) და 1346 წელს უსკუბის საკათედრო ტაძარში ეკურთხება „სერბთა და ბერძენთა იმპერატორად და ავტოკრატორად“.

ძალაუფლების ლეგიტიმაციისათვის სტეფანე დუშანი ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორად თვლიდა ბერძენი სამღვდელოების მხარდაჭერას, რისი მიღებაც კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსგან შეუძლებელი იყო. აქედან გამომდინარე, მისი ყურადღების ცენტრში ათონის მთა და მისი მონასტრები მოექცა.

მოცემულ ნაშრომში განხილული გვაქვს სტეფანე დუშანის საეკლესიო პოლიტიკა ათონის მთისადმი და ივირონის ქართველთა მონასტრის პოზიცია. იმპერატორის მიერ 1346 წელს ქართველი სამღვდელოებისადმი გაცემული „ხრისობულები“ და მონასტრისთვის დამტკიცებული საკუთრება და პრივილეგიები. აგრეთვე, შეფასებული გვაქვს ათონის ივერთა მონასტრის როლი დუშანის იმპერიულ პოლიტიკაში და მოცემული პერიოდის ბიზანტიის ეკლესიის ისტორიაში.

საკვანძო სიტყვები: სერბეთი, ბიზანტია, სტეფანე დუშანი, ათონის მთა, ივირონი

შუა საუკუნეების სერბულ-ქართული პოლიტიკური, თუ საეკლესიო ურთიერთობების მეცნიერულ შესწავლას ქართულ ისტორიოგრაფიაში, სამწუხაროდ, დღემდე არ ჰქონია ადგილი. ანალოგიური სურათი გვაქვს სერბულ ისტორიოგრაფიაშიც, რაც, ვფიქრობთ, ისტორიული პროცესების გავლენით, შესაბამისი პოლიტიკური ორიენტირებითა და უშუალოდ, ამ ურთიერთობების ფრაგმენტული ხასიათითაა განპირობებული. XIII-XIV საუკუნეების სერბეთისა და საქართველოს პოლიტიკურ და კულტურულ სფეროებში მიმდინარე მოვლენების გათვალისწინებით, მიგვაჩნია, რომ საკითხის შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც საკუთრივ, ქართულ-სერბული ურთიერთობების კვლევის თვალსაზრისით, ისე საქართველოს საგარეო პოლიტიკისა და ეკლესიის ისტორიის შესწავლის კუთხით.

მოცემული ნაშრომი, მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, ეფუძნება ისტორიულ შემეცნებით, კონტენტ-ანალიზის, ისტორიულ-ტიპოლოგიური, შედარებითი, ბიოგრაფიული, რეტროსპექტული, ისტორიულ-გენეტიკური და სისტემური კვლევის მეთოდებს, რაც თავისთავად, გულისხმობს საკითხის ირგვლივ არსებული საისტორიო წყაროების მრავალმხრივ, კომპლექსურ შესწავლას და ჩატარებული კვლევის საფუძველზე, ისტორიული სურათის რეკონსტრუქციის მცდელობას.

ჩვენს ხელთ არსებულ ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართულ-სერბული საეკლესიო ურთიერთობები XIV საუკუნეზე გაცილებით ადრე, ჯერ კიდევ XIII საუკუნის I ნახევარში იწყება (არ გამოვრიცხავთ უფრო ადრეულ კონტაქტებსაც, სხვა წყაროების აღმოჩენის შემთხვევაში), თუმცა, აღნიშნულის შესახებ კვლევას ჩვენს სხვა ნაშრომში გთავაზობთ. შესაბამისად, წინამდებარე ნაშრომში მხოლოდ მოცემული პერიოდის ქრონოლოგიური ჩარჩოთი შემოვიფარგლებით.

XIV საუკუნის შუა ხანები უაღრესად საინტერესო ეპოქას წარმოადგენს როგორც საქართველოს, ისე სერბეთის, ბიზანტიის იმ-

პერიისა და, ზოგადად, რეგიონის ისტორიაში. პალეოლოგოსების (პალეოლოგები) მმართველობის დროს არსებულმა მწვავე შიდა პოლიტიკურმა, სოციალურ-ეკონომიკურმა და რელიგიურმა კრიზისმა, რომელსაც თან ერთოდა საგარეო საფრთხე, შეუქცევადი გახადა იმპერიის დაკნინებისა და დამცრობის პროცესი, რაც, თავის მხრივ, ხელსაყრელ ნიადაგს ქმნიდა რეგიონში ძალთა ახალი გადანაწილებისთვის. მიმდინარე პოლიტიკურმა მოვლენებმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ბიზანტიის საეკლესიო წრეებზე და რაც ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა, ათონის ქართულ მონასტერზე. საკითხის უკეთ შესწავლისათვის საჭიროდ მიგვაჩნია მცირე ისტორიული ექსკურსი.

ისტორიულად ცნობილია, XIV საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისისთვის, ოსმალთა წარმატებული ლაშქრობების შედეგად, ბიზანტიას უკვე დაკარგული ჰქონდა მცირე აზიის უდიდესი ნაწილი (ბურსასა და ნიკეას ჩათვლით). ბურსაში მდებარეობდა ოსმალთა იმპერიის დედაქალაქიც. ოსმალთაგან შევიწროებული ბიზანტიის საიმპერატორო კარი გამოსავალს ევროპულ წრეებთან და რომის პაპთან მოკავშირეობაში ხედავდა. მოკავშირეობა, ცხადია, ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებას გულისხმობდა, თუმცა, დასავლეთსა და ბიზანტიას შორის სამოკავშირეო შეთანხმებები მხარეებს ხშირად არათანაბარ პირობებში აყენებდა. მხედველობაში გვაქვს ის კომპრომისები, რაზეც ბიზანტიის ხელისუფლება მიდიოდა დაპირებული დახმარების მიღების სანაცვლოდ.

ჯერ კიდევ XIII საუკუნის მეორე ნახევარში, მიხეილ VIII პალეოლოგის მმართველობის დროს, ბიზანტიის საიმპერატორო კარი სერიოზული დილემის წინაშე დადგა: ერთი მხრივ, ქვეყანას ოსმალთაგან ფიზიკური განადგურების რეალური საფრთხე დაემუქრა, მეორე მხრივ კი - სამოქალაქო ომის საშიშროება წარმოიშვა, რაც ხელისუფლების პროდასავლური ორიენტაციითა და რელიგიური კომპრომისებით იყო პროვოცირებული. კერძოდ, რომის პაპ გრიგოლ X-სთან შეთანხმების საფუძველზე, ბიზანტიის ხელისუფლება კათოლიკურ და მართლმადიდებლურ თემებს შორის საეკლესიო უნიის გაფორმებას დათანხმდა. შეთანხმება სისრულეში იქნა მოყვანილი 1274 წელს, ლიონის კრებაზე და „ლიონის უნიის“ სახელწოდებითაა ცნობილი. კრებას, ბიზანტიის იმპერატორის წარმომადგენლების, ანტიოქიისა და კონსტანტინოპოლის ლათინი პატრიარქებისა და რომის პაპის გარდა, ესწრებოდნენ აგრეთვე საფრანგეთისა და ინგლისის მეფეთა ელჩები, მონღოლთა ყაენის დელეგაცია და სხვ. (მაჭარაშვილი, 2007, გვ. 3-4) ნათელი იყო, რომ პოლიტიკური თანხმობისა და მხარდაჭერის სანაცვლოდ, ბერძენ სამღვდელოთა დასს მნიშვნელოვან კომპრომისზე წასვლა მოუწევდა. ასეც მოხდა: პალეოლოგის ელჩებმა კრებაზე წარადგინეს ეპისკოპოსების მიერ ხელმოწერილი სინოდალური

დოკუმენტი გაერთიანების შესახებ, ხოლო მეექვსე სხდომაზე ბერძნებმა ფილიოკვეც აღიარეს. ამგვარად, „დიდი სქიზმის“ შემდეგ, პირველად სწორედ ლიონის კრებაზე მოხდა საეკლესიო უნიის გაფორმება პაპისტებსა და მართლმადიდებლებს შორის. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს ის, რომ შეთანხმება მხოლოდ ქაღალდზე დარჩა და ვერ მოხერხდა მისი პრაქტიკაში განხორციელება. იმპერიის მართლმადიდებელმა მოსახლეობამ კატეგორიული წინააღმდეგობა გაუწია უნიის რეალიზებას. აღნიშნული მიზეზით, მიხეილ VIII-მ ქვეყანაში დაიწყო რეპრესიები უნიის მოწინააღმდეგეთა მიმართ (დაპატიმრება, დასახიჩრება, გადასახლება, ქონების კონფისკაცია და ა.შ.) (მაჭარაშვილი, გვ. 4-5), რამაც მნიშვნელოვნად შეარყია პალეოლოგების ავტორიტეტი და პოზიციები.

საგულისხმოა ის, რომ ყველაზე რადიკალური, ანტიუნიატური პოზიციებით გამოირჩეოდა ათონის მთა და იქ მოღვაწე სასულიერო პირთა დასი, რომელმაც 1278 წელს მოიწვია საეკლესიო კრება და უნიის გამო შეაჩვენა რომი პაპი, კონსტანტინოპოლის უნიატი პატრიარქი იოანე XI ვეკი, ყველა უნიატი და თვით იმპერატორი იმპერატორი მიხეილ პალეოლოგი (მაჭარაშვილი, 2007, გვ. 7). ჩვენ არ ვიცით ზუსტად, იღებდნენ თუ არა მონაწილეობას 1278 წლის კრებაში ათონის ივერთა მონასტრის წარმომადგენლები, თუმცა, მათ აშკარა ანტიუნიატურ დამოკიდებულებაზე სხვა ცნობები მეტყველებენ. მაგ., იოანე, ეფთვიმე და გიორგი ათონელების ბერძნული „ცხოვრება“ გვიამბობს: „როცა აქ, მთაწმინდაზე კათოლიკეები მოვიდნენ, მეფე მიხაელისა და პატრიარქის (იგულისხმება იოანე ვეკი - გ.მ.) თანხმობით, მათ ივერიის მონასტრის წმიდა მამები ზღვაში დაახრჩვეს, რადგან მათ პაპის წარგზავნილები არ მიიღეს და არ ისურვეს ხელი მოეწერათ ლათინთა დადგენილებებისთვის. ნეტარი ეფთვიმეს წმინდა კუბოც, ისევე როგორც იოანესი და გიორგისა, გაიტაცეს სხვა საეკლესიო განძთან ერთად და მონასტერი ცარიელი დატოვეს“ (მაჭარაშვილი, 2007, გვ. 8). წყაროში აღწერილია 1280 წელს (ზოგიერთი ცნობით, 1285 წელს) პაპისტების მიერ ათონის მთის მონასტრებზე თავდასხმის ფაქტი, რომელიც ივერთა მონასტრის საძმოსაც შეეხო. ზემოთ აღნიშნული და სხვა ისტორიული წყაროებიც, რომლებიც ქართველ მკვლევარს, გიორგი მაჭარაშვილს მრავლად აქვს მოხმობილი თავის ნაშრომში „ლიონის უნია და საქართველო“, მოწმობენ ქართველთა მონასტრის ანტიუნიატურ პოზიციებზე, რომელიც როგორც ჩანს, იმპერატორისა და პაპისტების მხრიდან აგრესიის საფუძველი გახდა. ივერთა მონასტრის ოპონირება პალეოლოგების ხელისუფლებისადმი, კვლავ რომთან გაერთიანების მიზეზით, მომდევნო პერიოდშიც გაგრძელდა და კიდევ ერთხელ გამოიკვეთა XIV საუკუნის შუა წლებში, ბიზანტიის ტერიტორიაზე სერბული ინტერვენციის დროს.

როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, პალეოლოგების მმა-

რთველობამ იმპერია სერიოზულ პოლიტიკურ და რელიგიურ კრიზისში შეიყვანა. პარალელურად, აქტიურდებოდა ოსმალური საფრთხეც. მიუხედავად სამოქალაქო დაპირისპირებისა და იმპერიის განადგურების პროცესის დაჩქარების აშკარა საშიშროებისა, საიმპერატორო კარი ხსნას კვლავ დასავლეთისგან ელოდა.

1341 წელს, ბიზანტიის იმპერატორ ანდრონიკე III-ის გარდაცვალების შემდეგ, სამეფო კარი ორ ფრაქციად გაიყო. ერთ მხარეს წარმოადგენდნენ მცირეწლოვანი იმპერატორის დედა - ანა სავოიელი, კონსტანტინოპოლის პატრიარქი - იოანე XIV კალეკასი და ფლოტის მეთაური, დიდი დუკა - ალექსი აპოკაუკოსი (აპოკავკი), ხოლო მეორე მხარეს - ძლევამოსილი მხედართმთავარი და სამეფო კარის სამხედრო მრჩეველი - იოანე კანტაკუზენი. მათი დაპირისპირების ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზს განსხვავებული პოლიტიკური და რელიგიური ორიენტაცია წარმოადგენდა. დედოფლის „ბანაკი“ მხარს უჭერდა რომთან გაერთიანებას, როგორც ბიზანტიის სამხედრო გაძლიერების საშუალებას, ხოლო კანტაკუზენის მომხრეები, რომელთა ნაწილს იტალიელთა მზარდი კომერციული გავლენით გაღიზიანებული, ბერძენი არისტოკრატები შეადგენდნენ, კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ რომთან ალიანსს. გარდა ამისა, დაპირისპირებას სამეფო კარის წევრებს შორის, თან ერთოდა რელიგიური ფაქტორიც. კერძოდ, პალეოლოგოსების პრორომაული ორიენტაცია იმპერიის მართლმადიდებელ სამღვდელოებასა და მოსახლეობაში კვლავ დიდ უკმაყოფილებას იწვევდა, რომელთა მნიშვნელოვანმა ნაწილმაც სწორედ იოანე კანტაკუზენს გამოუცხადა მხარდაჭერა. ამ კუთხით, განსაკუთრებით აღსანიშნავია ისევ ათონის წმინდა მთის სამღვდელოება და ისიხასტი ბერები, მოძრაობის ლიდერის - გრიგოლ პალამას ხელმძღვანელობით.

საგულისხმოა ის, რომ პროდასავლური ორიენტაციის შეხედულებებმა ამ პერიოდში უშუალოდ ათონის მთაზეც შეაღწია, რაც გამოიხატა ე.წ. რელიგიური ჰუმანიზმის წარმომადგენლების (ბარლაამი, გრიგოლ აკინდინოსი) ნაშრომებსა და მოღვაწეობაში. ჰუმანისტებს საღვთისმეტყველო დავებში ოპონირებას უწევდნენ ისიხასტები, რომლებიც ცხოვრებასა და ინტერესებში მართლმადიდებლურ თეოლოგიურ თვითშეგნებას ინარჩუნებდნენ. ისიხასტურ მოძრაობას მოცემულ პერიოდში სათავეში ედგა თესალონიკის მთავარეპისკოპოსი, გრიგოლ პალამა (1296/97-1359 წწ.), რომელიც აქტიურად იცავდა აღმოსავლურ მართლმადიდებლურ საღვთისმეტყველო ტრადიციებს და პრობერძნულ ორიენტაციას (ბარნოვი, 2016).

1341 წლის შემოდგომაზე, კანტაკუზენის თრაკიაში არყოფნის პერიოდში, დედოფალმა და მისმა მომხრეებმა მოახდინეს სახელმწიფო გადატრიალების ინსცენირება. კანტაკუზენს ჩამოა-

რთვეს უფლებები და დააპატიმრეს მისი მოკავშირეები, გრიგოლ პალამას ჩათვლით. თუმცა, იოანე კანტაკუზენი არ შეჰგუებია არსებულ ვითარებას. საკუთარი თავი მცირეწლოვანი იოანე V-ის თანაიმპერატორად გამოაცხადა და ბრძოლაში ჩაება. თუმცა, მალევე, დედოფლის ფავორიტი ზილოტების მიერ სალონიკის აღების შემდეგ, იძულებული გახდა, დაეტოვებინა ქალაქი და პრიშტინაში შეეფარებინა თავი (Douglas A. Howard, 2017, p. 15). დაპირისპირება, ანა სავოიელსა და იოანე კანტაკუზენს შორის, იმპერიის სამოქალაქო ომში გადაიზარდა, რომელშიც საგარეო ძალებიც აღმოჩნდნენ ჩართულნი. სწორედ ამ მოვლენას უკავშირდება სერბული ინტერვენცია ბიზანტიაში, რომელმაც მნიშვნელოვნად შეცვალა იმპერიის ტერიტორიული საზღვრები და თავისი გავლენა მოახდინა საეკლესიო წრეებზეც.

აღსანიშნავია ის, რომ სერბეთის სახელმწიფო ბალკანეთის ნ/კ-ზე ჯერ კიდევ XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან დაწინაურდა. ნემანიჩების სამეფო დინასტიამ საკუთარი ქვეყნის ინტერესების სასარგებლოდ გამოიყენა ბიზანტიის იმპერიაში არსებული შიდა პრობლემები და გააფართოვა ტერიტორიული საზღვრები ბალკანეთზე. ამავდროულად, ბიზანტიის საიმპერატორო ხელისუფლებას აიძულა, ეცნო სერბების მიერ წარმოებული ომების ყველა შედეგი. 1331 წლიდან სერბეთის ტახტზე ავიდა ნემანიჩების საგვარეულოს ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი - სტეფანე IV დუშანი, რომლის სახელსაც უკავშირდება სერბეთის სამეფოს ძლიერების ზენიტი. სტეფანე დუშანისთვის, რომელიც ბავშვობაში 7 წლის განმავლობაში იმყოფებოდა ბიზანტიის საიმპერატორო კარზე, კარგად იყო ცნობილი იმპერიაში არსებული შიდა ვითარება, სახალხო მოძრაობებისა და დინასტიური დაპირისპირებების ჩათვლით (История Югославии, 1963. стр. 94). აღნიშნული მას მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს სწორი პოლიტიკური ორიენტირებისა და წარმატებული სვლების შემუშავებაში. დუშანის ტახტზე ასვლის პერიოდისათვის სერბეთი გადაჭიმული იყო ერთი მხრივ, მდ. სავადან და დუნაიდან - სტრუმიცასა და პრილეპამდე, ხოლო მეორე მხრივ, ბოსნიიდან - რილოდაგსა და სტრუმამდე. თუმცა, მეფისთვის მოცემული საზღვრები არ იყო დამაკმაყოფილებელი. მის მიზანს წარმოადგენდა ბალკანეთის ნახევარკუნძულის გაერთიანება თავისი ძალაუფლების ქვეშ და უფრო მეტიც - კონსტანტინოპოლში ბიზანტიის იმპერატორად კურთხევა. დასახული მიზნის განხორციელებას მეფე თანმიმდევრულად შეუდგა. 1334 წელს მან დასავლეთ მაკედონია დაიპყრო; შემდეგ - ალბანეთი, დურაცოსა და ვალონამდე. 1340 წელს კი - ეპიროსი იანინამდე. მის მფლობელობაში ეტაპობრივად გადავიდა თესალია და თრაკიის ნაწილიც. სტეფანე დუშანის დაპყრობითი ომების პარალელურად ბიზანტიაში მომწიფდა ჩვენ მიერ ზემოთ ხსენებული

სამოქალაქო ომიც, რამაც სერბეთის მეფეს საშუალება მისცა შემდგომი წინსვლისთვის. 1342 წელს ბიზანტიიდან დევნილმა იოანე კანტაკუზენმა დახმარებისათვის სწორედ სტეფანე დუშანს მიმართა. სერბმა მმართველმა შექმნილ სიტუაციაში არჩევანი კანტაკუზენის სასარგებლოდ გააკეთა; მისცა მას თავშესაფარი და მიწების სანაცვლოდაც არ გადასცა იგი ბიზანტიის საიმპერატორო კარს (Чиркович, 1996, стр. 135- 155).

ბერძენი მკვლევარი, იოანის პსელოსი, ნაშრომში „რომის იმპერიის ისტორია XIV საუკუნეში“, იმოწმებს სტეფანე დუშანსა და იოანე კანტაკუზენს შორის გაფორმებულ შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც ეს უკანასკნელი, ბიზანტიის სამოქალაქო ომში ჩართვის სანაცვლოდ, სტეფანე დუშანის წინაშე შემდეგ დათმობებზე მიდიოდა:

დუშანს ჰქონდა უფლება, შეენარჩუნებინა ეპიროსსა და ალბანეთის ტერიტორიებზე პალეოლოგოსების წინააღმდეგ წარმოებული ომის მსვლელობისა თუ ადგილობრივ მმართველებთან პირადი ომების დროს დაპყრობილი მიწები.

მაკედონიისა და თესალიის დაპყრობილ ქალაქებს ეძლეოდათ საშუალება, თავად გაეკეთებინათ არჩევანი კანტაკუზენსა და დუშანს შორის.

იოანე V-ის მკვლელობის შემთხვევაში, კანტაკუზენი დუშანს გამოაცხადებდა თანა-იმპერატორად (Psellos, 1953).

ამგვარად, შეთანხმება შედგა, თუმცა, დუშანის მიზნების გათვალისწინებით, აშკარა იყო, რომ იგი დროებით ხასიათს ატარებდა. კანტაკუზენთან შეთანხმების პარალელურად, სერბეთის მეფე აერთიანებს დაპყრობილ მიწებს და ცდილობს მოკავშირეების შემოკრებას (მაგალითად, ვენეციელების სახით) სერბების მმართველობის ქვეშ ძლევამოსილი რომის (ბიზანტიის) იმპერიის აღდგენის იდეის მხარდასაჭერად. მალე, კანტაკუზენსა და დუშანს შორის, ბიზანტიური მიწების გაყოფის მიზეზით უთანხმოება ჩამოვარდა, რამაც 1343 წლისთვის მათი ალიანსის რღვევა გამოიწვია. ამ დროიდან, სერბეთის მეფე იცვლის პოლიტიკურ ორიენტაციას და ბიზანტიის საიმპერატორო კარს უკავშირდება დინასტიური ქორწინებით (დუშანის ვაჟი ქორწინდება იმპერატორ იოანე V პალეოლოგის დაზე). ამ აქტით დუშანი ხდება ბიზანტიის მცირეწლოვანი იმპერატორის ნათესავი და პროტექტორი. ამავე წლიდან ის საკუთარ თავს უწოდებს „Cesnik Grkom“ (чесник греков), რაც ხაზს უსვამდა მის უშუალო მონაწილეობას ბერძნული იმპერიის მართვაში (Cirkovic, 2004, p. 64).

ბიზანტიის საიმპერატორო კართან დაახლოებას ხელი არ შეუშლია დუშანის დაპყრობითი გეგმების განხორციელებისთვის. მომდევნო ორი წლის განმავლობაში იგი აგრძელებს მაკედონიის დაპყრობას. იღებს ქალაქებს - ვერიას, დრამას და ხალკიდიკის

ნ/კ-ს - ათონით. 1345 წლის შემოდგომაზე კი მის ხელში გადადის ქალაქი სერი. წლის ბოლოს, სტეფანე დუშანი თავს აცხადებს სერბებისა და ბერძნების იმპერატორად და იწყებს მზადებას სერბეთის ავტოკეფალიური საარქიეპისკოპოსოს უფრო მაღალ, საპატრიარქოს რანგში აყვანისთვის (Чиркович. 1996, стр. 135- 155; The Cambridge History... , 2008, p. 824).

ნიშანდობლივია ის, რომ ძალაუფლების ლეგიტიმაციისათვის სტეფანე დუშანი ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორად თვლიდა ბერძენი სამღვდელოების მხარდაჭერას, რისი მიღებაც კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსგან შეუძლებელი იყო. აქედან გამომდინარე, მისი ყურადღების ცენტრში ათონის მთა და მისი მონასტრები ექცევა, რაც ცხადია, არ იყო შემთხვევითი. პირველ რიგში, მხედველობაში გვაქვს ათონის მთის რელიგიური და პოლიტიკური მნიშვნელობა ქრისტიანულ სამყაროში, რაც ყველა ძლევამოსილ მმართველს წმინდა მთაზე გავლენის მოპოვების მცდელობისკენ უბიძგებდა და მეორე, როგორც ზემოთ ვისაუბრეთ, ათონის მთა, მოცემულ პერიოდში - ისიხასტური მოძრაობის ცენტრი, პალეოლოგოსების მმართველობის დროს, განსაკუთრებული დაუმორჩილებლობით გამოირჩეოდა, რაც საიმპერატორო ხელისუფლების პრორომაული, უნიატური ორიენტაციით იყო განპირობებული. სწორედ ამიტომ, სამოქალაქო ომში, ათონელი სამღვდელოებისთვის ბერძნული ორიენტაციის იოანე კანტაკუზენი გაცილებით მისაღები კანდიდატი აღმოჩნდა. მოგვიანებით კი, სერბი ხელისუფალი, ვინაიდან მას მართლმადიდებლური ძალების გამაერთიანებლად და მართლმადიდებელ მმართველად მოიაზრებდნენ. ვფიქრობთ, სწორედ აღნიშნულით იყო ნაკარნახევი ათონის მონასტრების მხარდამჭერი პოზიცია სტეფანე დუშანისადმი.

სერბი მკვლევრის, სიმა ჩირკოვიჩის ცნობით, 1345 წელს, ქალაქ სერის აღების შემდეგ, სტეფანე დუშანმა მიაღწია შეთანხმებას ათონის წმინდა მთის წარმომადგენლებთან, რომლებმაც ცნეს მისი ხელისუფლება და აღიარეს იგი თავიანთ მმართველად. 1346 წლის 16 აპრილს კი, აღდგომის დღესასწაულზე, უსკუბის საკათედრო ტაძარში შედგა მისი კორონაცია „სერბთა და ბერძენთა იმპერატორად და ავტოკრატორად“, რომელშიც სერბ მღვდელმთავრებთან ერთად, ბულგარეთის პატრიარქი, ოხრიდის არქიეპისკოპოსი და ათონის წმინდა მთის წარმომადგენლები იღებდნენ მონაწილეობას (Cirkovic, 2004, pp. 64-65).

ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა აღნიშნულ პროცესებში ათონის ივერთა მონასტრის პოზიცია და სერბი იმპერატორისა და ქართველი ბერების ურთიერთდამოკიდებულება.

სერბეთის მეფისა და ათონის ქართველთა მონასტრის ურთიერთობის შესწავლის საშუალებას გვაძლევს ივირონის არ-

ქივში დაცული, ჩვენთვის ხელმისაწვდომი ორი დოკუმენტი, კერძოდ, სტეფანე დუშანის მიერ 1346 წლის იანვარსა და აპრილში, მონასტრისადმი გაცემული ოქრობეჭდები (ხრისობულები). პირველი მათგანი იმპერატორის კურთხევამდე რამდენიმე თვით ადრეა გამოცემული და გვაწვდის საინტერესო ცნობებს სერბი მმართველის ხელისუფლებისადმი ქართველი ბერების დამოკიდებულების შესახებ. ხრისობულის ტექსტი გვამცნობს, რომ ათონელი ბერები ეახლნენ სტეფანე დუშანს და ერთგულება გამოუცხადეს. საინტერესოა ათონის მონასტრებისთვის გაცემული საერთო ოქრობეჭედი, სადაც ნათქვამია, რომ სტეფანე დუშანმა თავად გაგზავნა ათონზე თავისი ლოგოთეტი, რათა ბერებისთვის ეთხოვა, მოეხსენიებინათ იგი ლოცვებში. ბერები დათანხმდნენ იმ პირობით, რომ იგი მოხსენიებული იქნებოდა მხოლოდ ბიზანტიის იმპერატორის შემდეგ და თან მოითხოვეს გარანტიები წმინდა მთის თავისუფლებასა და მონასტრებისათვის მათი მამულების მათსავე მფლობელობაში დატოვებასთან დაკავშირებით. აღნიშნულის ფონზე, ივირონისადმი გაცემული ხრისობულის ტექსტში დაცული ცნობა იმის შესახებ, რომ ათონელი ბერები თავად ეახლნენ იმპერატორს და ერთგულება გამოუცხადეს, გვაძლევს იმ ვარაუდის გამოთქმის საფუძველს, რომ სერბი ხელისუფალი ათონის ქართველთა საძმოსთვის უფრო მისაღები კანდიდატი იყო, ვიდრე ბერძენი სამღვდელოებისთვის. ქართველთა ამ პოზიციის განსაზღვრაში, ვფიქრობთ, თავისი როლი ითამაშა ბერძენთა მხრიდან ქართული სათვისტომოს შევიწროების ტენდენციამაც, რასაც ადგილი ჰქონდა მოცემული პერიოდის ათონის ისტორიაში.

საინტერესოა ის გარემოებაც, რომ ჯერ კიდევ 1340 წლისათვის, მონასტრის საკუთრებაში მყოფი სოფლებიდან, ივირონის მიერ სახელმწიფოსთვის გადასახდელი თანხის ჯამი აღემატებოდა ამ სოფლების გლეხებისგან აღებული თანხის ჯამს (ივირონის აქტები, 2008, გვ. 22). 1341 წელს კი, სამოქალაქო ომის პერიოდში, ივირონს გადასახადი კიდევ უფრო გაეზარდა. ასეთ პირობებში ივირონის მონასტერს მნიშვნელოვან დახმარებას უწევს სერბი იმპერატორი (ივირონის აქტები, 2008, გვ. 24).

ხრისობულის მიხედვით, ივირონმა სტეფანე დუშანს სთხოვა, გაეთავისუფლებინა იმ გადასახადისგან (400 ჰიპერპერას ოდენობით), რომელსაც მონასტერი რადოლივოსისა და სხვა დომენებისთვის უხდიდა ჯერ საიმპერატორო ხაზინას, შემდეგ კი ჯარისკაცებს. მეფემ შეისმინა ბერების თხოვნა და ხსენებული გადასახადის თანხა შესწირა ივირონის კარის ღმრთისმშობლის მონასტერს. გაათავისუფლა ყოველგვარი ფისკალური გადასახადისგან და ოქრობეჭდის ძალით შეუქმნა გარანტიები საკუთრების უფლებებზე კუთვნილ მამულებში (რადოლივოსი, დოვროვიკია, ოვილოსი, კოძაკი, გრიზოვა ზიხნას წისქვილით, წმინდა ნიკოლო-

ზის ტუ ქსანთოპულუდ წოდებული მონიდრიონი პრევესენაში, სერისთან მდებარე წმინდა იოანე ღმრთისმეტყველის მონასტერი, წმინდა უვერცხლონი კირანიძაში, მელიძიანისი, სახლები სერისში, სტრუმიკაში მდებარე ელეუსას ღმრთისმშობლის მონიდრიონი თავისი მეტოქებით). საყურადღებოა ის ფაქტი, რომ დუშანის პირველი ოქრობეჭედი არ მოიხსენიებს ივირონის ქონებას არც თესალონიკში, არც ქალკედონიაში და არც უფრო ჩრდილოეთით მდებარე მისი მამულების სიას. ივირონის აქტების მკვლევართა აზრით, სავარაუდოდ, ეს მამულები, რომელთა ფლობაც მონასტერს დადასტურებული ჰქონდა, იმჟამად სერბების გამგებლობის ქვეშ მოქცეულ ტერიტორიებზე იყო.

არანაკლებ საყურადღებო ცნობებს გვაწვდის იმპერატორ სტეფანე დუშანის მეორე ოქრობეჭედი ივირონის მონასტრისადმი, რომელიც მისი კორონაციის შემდეგაა გაცემული. ამ საბუთში ივირონის მამულების სია გაზრდილია და უფრო ვრცელია, ვიდრე წინა დოკუმენტში. ამასთან, იმპერატორი მის ყველა დომენსა და მეტოქს ათავისუფლებს ფისკალური გადასახადებისგან და ადასტურებს მონასტრის უფლებებს მათზე (ივირონის აქტები, 2008, გვ. 126-139). ოქრობეჭედი წარმოგვიდგენს სერბულ და ბიზანტიურ ტერიტორიაზე მდებარე მონასტრის მამულების სრულ სიას და ასახელებს ივირონის მანამდე უცნობ 7 მამულს:

1) რენტინაში მდებარე სახლები
2) წმინდა გიორგი ტა კუვუკლიას მეტოქი
3) ვრესტიანის ზევგილატიონში მდებარე სახლები
4) ზიხნაში მდებარე სახლები
5) კორემისტას ზევგილატიონი
6-7) სტრუმიკას რეგიონში მდებარე ელეუსას ორი მეტოქი: წმინდა კალისა და წმინდა თეოდორესი (ივირონის აქტები, 2008, გვ. 17).

აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ დუშანმა ივირონს ზოგი მამული ჩამოაჭრა და წმინდა პანტელეიმონის (რუსულ) და ხილანდარის (სერბულ) მონასტრებს გადასცა. კერძოდ, წმინდა კვირიკე, მიწის ნაკვეთი კოძაკიონში, წისქვილი ანძისტაზე და მალუკა.

წმინდა კვირიკეს მონიდრიონი ვენახებითა და ყანებით, წისქვილი ანძისტაში და კოძაკიონი - გადაეცა წმინდა პანტელეიმონის სახელობის რუსულ მონასტერს, ხოლო მალუკა - ხილანდარის სერბულ მონასტერს (ივირონის აქტები, 2008, გვ. 15-16). რთული მისახვედრი არ არის, რომ აღნიშნული სერბი იმპერატორის მიერ ათონზე სლავური (სერბული, რუსული) მონასტრების გაძლიერების მოტივით იყო ნაკარნახევი, მით უფრო იმ პირობებში, რომ ათონის წმინდა მთაზე დომინანტურ როლს კვლავ ბერძნული მონასტრები ინარჩუნებდნენ.

ამრიგად, მოცემული დოკუმენტების მიხედვით, შეგვი-

ძლია ვიმსჯელოთ ათონის ქართველთა მონასტრის როგორც საერთო ეკონომიკური მდგომარეობის, ისე სერბეთის იმპერატორთან ურთიერთობის შესახებ. ოქრობეჭდები ცხადყოფს, რომ სლავური მონასტრების გაძლიერების მცდელობის კვალდაკვალ, იმპერატორის ყურადღების ცენტრშია ათონის ქართველთა საძმო და ქართული მონასტერი. იმპერატორის განსაკუთრებულ ინტერესსა და მხარდაჭერას ივირონის მონასტრისადმი, ვფიქრობთ, რამდენიმე ფაქტორი განაპირობებდა:

ივირონის მონასტერს საუკუნეების განმავლობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ათონის წმინდა მთის ცხოვრებაში. იგი ხშირად იხსენიებოდა "საიმპერატორო" ან "დიდ საიმპერატორო მონასტრად". ათონის საბჭოს საბუთებს ივირონის წინამძღვარი ან წარმომადგენელი ხელს აწერდა პროტის ან ლავრის წარმომადგენლის შემდეგ (1366 წლიდან - ვათოპედის წარმომადგენლის შემდეგ) (ივირონის აქტები, 2008, გვ. 9). გარდა ამისა, მონასტერს მრავლად ჰქონდა დაქვემდებარებული ობიექტები ათონის მთაზე, რაც სოლიდური ეკონომიკური მდგომარეობის გარდა, ზრდიდა მის გავლენასა და ავტორიტეტს.

მონასტერი ცნობილი იყო ანტიუნიატური პოზიციებით და არ ემორჩილებოდა პალეოლოგების ხელისუფლების უნიატურ დადგენილებებსა და ბრძანებებს, რაც ხელსაყრელ ნიადაგს ქმნიდა მონასტრის პროსერბული ორიენტაციის ჩამოყალიბებისთვის.

ივირონი იყო ერთ-ერთი არაბერძნული, კონკურენტუნარიანი და ანგარიშგასაწევი ძალა ათონზე, რომელსაც შეეძლო მნიშვნელოვანი როლი შეესრულებინა სერბი იმპერატორის საეკლესიო თუ სახელმწიფო პოლიტიკის წარმატების საქმეში.

თავის მხრივ, სტეფანე დუშანთან მოკავშირეობა ქართველთა მონასტრის ინტერესებშიც შედიოდა სხვადასხვა მიზეზის გათვალისწინებით, კერძოდ:

ლიონის უნიის შემდეგ გამოცხადებული დაუმორჩილებლობის გამო ათონის მთა და კონკრეტულად ქართული მონასტერი, არაერთგზის გამხდარა პაპისტებისა თუ სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან აგრესიის ობიექტი.

ქართველთა საძმო ხშირად განიცდიდა ბერძენი სამღვდელოების მხრიდან უფლებების ხელყოფასა და შევიწროებას.

შექმნილ პირობებში, აღმოსავლურ-მართლმადიდებლური რელიგიური ორიენტაციის მქონე სერბი იმპერატორი, რომელსაც რეალურად შესწევდა უნარი ბიზანტიის საიმპერატორო ტახტზე პალეოლოგების დინასტია ნემანიჩების დინასტიით ჩაენაცვლებინა და ათონის მთის არაბერძნული, მართლმადიდებელი მონასტრების არსებობისთვის ხელსაყრელი პირობები შეექმნა, ალბათ ყველაზე მისაღები კანდიდატი იყო იმპერიის ტახტის მაძიებელ კანდიდატებს შორის (მით უფრო, რომ პრეტენდენტების

უმრავლესობა ბერძენი იყო).

ამგვარად, სერბულ და ქართულ მხარეებს შორის თანამშრომლობის სურვილი ორმხრივ ხასიათს ატარებდა და ამ გზაზე გადადგმული ნაბიჯებიც შემხვედრი იყო. ქართველთა საძმომ მხარდაჭერა გამოუცხადა სერბეთის იმპერატორს, იმპერატორმა კი გაათავისუფლა იგი პალეოლოგების მიერ დაკისრებული ფინანსური ვალდებულებების დიდი ნაწილისგან (რაც სერიოზულად აფერხებდა მონასტრის წინსვლას) და დაუმტკიცა საკუთრებაში კუთვნილი ტერიტორიები. აღნიშნული მონასტერს მნიშვნელოვნად უმსუბუქებდა მდგომარეობას და აძლევდა საშუალებას, თავი დაეღწია იმ ფინანსური პრობლემებისგან, რომელსაც მას გაზრდილი სახელმწიფო გადასახადები უქმნიდა. გარდა ამისა, ხელსაყრელ ნიადაგს ქმნიდა როგორც ადგილობრივი, ბერძნული სამღვდელოების მხრიდან დისკრიმინაციისა თუ მონასტრის ანტიუნიატური ორიენტაციის გამო ხელისუფლების ზეწოლისგან გათავისუფლებისთვის. გაჩნდა რეალური შანსი იმისა, რომ ამიერიდან ქართველთა მონასტერი შეძლებდა არსებობისა და მოღვაწეობის თავისუფლად გაგრძელებას. ცხადია, არ გამოვრიცხავთ სერბული ხელისუფლების მხრიდან სავარაუდო რისკებსაც, თუმცა, ის ფაქტორები, რომელთა საფუძველზეც ივერთა მონასტერს მოცემულ პერიოდში მძიმე მდგომარეობაში უწევდა მოღვაწეობა, მონასტერთან ურთიერთობაში ფიზიკურად აღარ იარსებებდა.

სერბ იმპერატორსა და ათონის ქართველთა მონასტრის ურთიერთობის საკითხის შესწავლისას ჩვენს ყურადღებას იქცევს აგრეთვე მონასტრის წინამძღვრის ვინაობის საკითხიც.

ცნობილია, რომ XIV საუკუნის შუა წლებამდე ივირონის წინამძღვრები კვლავ ქართველები იყვნენ. სწორედ ქართველთა მმართველობის პერიოდში იზრდებოდა და ფართოვდებოდა ივირონის ქონება (მეტწილად შეწირულობის ხარჯზე, ვიდრე შენაძენის) (ივირონის აქტები, 2008, გვ. 16). გამომდინარე იქიდან, რომ XIV საუკუნის შუა წლებიდან ივირონის მონასტრის ისტორიის შესახებ ძალიან მწირი ცნობები არსებობს ქართულ ისტორიოგრაფიაში, არ გვაქვს დეტალური, დაზუსტებული ინფორმაცია მონასტრის წინამძღვრების შესახებაც. აღნიშნულიდან გამომდინარე, გადავწყვიტეთ სამეცნიერო ლიტერატურასა და ივირონის არქივში დაცული დოკუმენტების ცნობებზე დაყრდნობით, თავად მიგვეკვლია იმ პიროვნებისთვის, რომელიც სერბეთის იმპერატორსა და ივირონს შორის შემდგარი შეთანხმების დროს წინამძღვრობდა ქართულ მონასტერს.

გ. ლორთქიფანიძე და ნ. ჩიქოვანი თავიანთ ნაშრომში - „ქართული კულტურის ისტორია“, მიუთითებდნენ, რომ სტეფანე დუშანის მიერ ივერთა მონასტრისადმი მამულების დამტკიცების პერიოდში, „იქ წინამძღვრად ქართველი ყოფილა, რომელიც სხვა

სავანეთა საქმიანობაშიც იღებდა მონაწილეობას“ (ლორთქიფანიძე, ჩიქოვანი, 1997, გვ. 275). მოცემული ცნობა, თავისთავად მნიშვნელოვანია, რადგან ხაზს უსვამს წინამძღვრის ქართულ წარმომავლობას და მისი პიროვნების მნიშვნელობას ივირონის გარდა, ათონის სხვა მონასტრების ცხოვრებაშიც. თუმცა, ხსენებული ავტორები არ აკონკრეტებენ წინამძღვრის ვინაობას. ამ კუთხით დიდ დახმარებას გვიწევს ივირონის არქივში დაცული აქტების კრებული (გამოცემული ქართულ ენაზე), სადაც მოცემული გვაქვს ქართული მონასტრის წინამძღვრების მცირე ნუსხა. ნუსხის მიხედვით, 1344 წლის სექტემბრიდან - 1347 წლის მარტამდე ივერთა მონასტერს წინამძღვრობს მღვდელმსახური ანდრია (ივირონის აქტები, 2008, გვ. 45). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იმპერატორ სტეფანე დუშანის ოქრობეჭდები ათონის ივერთა მონასტრისადმი, გაცემულია 1346 წლის იანვარსა (პირველი ოქრობეჭედი) და იმავე წლის აპრილში (მეორე ოქრობეჭედი). დოკუმენტების შექმნის თარიღი ექცევა ივირონის აქტებში დასახელებული ანდრია წინამძღვრის მონასტრის ხელმძღვანელის პოზიციაზე მოღვაწეობის ქრონოლოგიურ ჩარჩოში, რის საფუძველზეც გამოვთქვამთ ვარაუდს, რომ სწორედ მღვდელმსახურ ანდრიას ხელმძღვანელობის დროს მიმდინარეობდა სერბ იმპერატორთან ათონის ქართველთა საძმოს ურთიერთობისა და შეთანხმების პროცესი. სწორედ მის დროს უნდა მიეღო მონასტერს ზემოთ აღწერილი ოქრობეჭდები.

საგულისხმოა ის, რომ ბიზანტიური მიწების ახალი მმართველისადმი მხარდამჭერმა პოზიციამ და სანაცვლოდ, სერბი იმპერატორის მხრიდან მიღებულმა ჯილდოებმა თავისი გავლენა იქონია ათონის ივერთა მონასტრის შემდგომ განვითარებაზე. სტეფანე დუშანის სიცოცხლის პერიოდში ქართველთა საძმო კვლავ ინარჩუნებდა მონასტრის ხელმძღვანელობას და საკუთრებას მთელ რიგ დომენებსა და მამულებზე. მეორე მხრივ კი, ივირონი წარმოადგენდა სერბი მმართველის ერთ-ერთ საყრდენ ძალას იმპერიის სამღვდელოებას შორის. არ გამოვრიცხავთ იმასაც, რომ ათონელ ქართველთა პროსერბული ორიენტაცია გახდა შემდგომში ერთ-ერთი მიზეზი იმ ფაქტისა, რომ სტეფანე დუშანის გარდაცვალების შემდეგ, 1355/1356 წელს, კონსტანტინოპოლის პატრიარქის - კალისტე I-ის მიერ გამოცემული აქტით, ქართველები ჩამოაშორეს ივირონის მონასტრის წინამძღვრობას და სხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებს. სწორედ ამ დროიდან იწყება ქართველთა როლის მნიშვნელოვანი შეზღუდვა ივერთა მონასტრის ცხოვრებაში.

დასასრულს, დასკვნის სახით შეგვიძლია თავისუფლად ვთქვათ, რომ XIV საუკუნის შუა წლები უაღრესად საინტერესო პერიოდს წარმოადგენს როგორც ათონის მთის, ისე ბიზანტიის

იმპერიისა და სერბულ-ქართული ურთიერთობების ისტორიაში. ბიზანტიის იმპერიის ტერიტორიაზე სერბული ინტერვენციის, მისი გამომწვევი მიზეზებისა თუ შედეგების, იმპერიის მართლმადიდებელი სამღვდელოებისა და კონკრეტულად, ათონის ქართველთა მონასტრის დამოკიდებულებისა და ზემოთ აღწერილი სხვა გარემოებების ანალიზი, ვფიქრობთ, იძლევა შესაძლებლობას ივერთა მონასტრის ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში შეუსწავლელი, ბუნდოვანებით მოცული ეპოქის ისტორიული სურათის რეკონსტრუქციისთვის. აღნიშნულ საქმეში კი ქართული და ბერძნული წყაროების გარდა, გასათვალისწინებელია სერბული წყაროებიც. ვფიქრობთ, ნაშრომში დასმული საკითხები იმსახურებს შემდგომ შესწავლას და გამოვთქვამთ იმედს, რომ ამ მიმართულებით კვლევები გაგრძელდება.

დამოწმებანი

ბარნოვი გ. (2016) „ჰუმანისტური ფასეულობები და გრიგოლ პალამას ღვთისმეტყველება“, ჟურნალი “გული გონიერი”, N15 (სტატიის ელექტრონული ვერსია იხ: http://www.orthodoxtheology.ge/grigolpalamasgvtismetyveleba ბოლო დამოწმება 09.11.2021)

ივირონის აქტები. (2008). შემდგენლები: ლეფორი ჟ., იკონომიდისი ნ., პაპახრისანთუ დ., კრავარი ვ., მეტრეველი ე., ტ. IV, თარგმანი ც. ბიბილეიშვილის, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცებლობა.

ლორთქიფანიძე გ., ჩიქოვანი ნ. (1997). ქართული კულტურის ისტორია. თბილისი

მაჭარაშვილი გ. (2007). „ლიონის უნია და საქართველო“, თბილისი

История Югославии. (1963). Редакционная коллегия: Ю. В. Бромлей, И. С. Достян, В. Г. Карасев, С. А. Никитин. Т. 1 , Москва https://inslav.ru/images/stories/pdf/1963_Istorija_Jugoslavii-1.pdf

Чиркович С. (1996). Сербия, Средние века. Москва, стр. 155 (სტატიის ელექტრონული ვერსია იხ:

https://dlib.rsl.ru/viewer/01001756306#?page=159 ბოლო დამოწმება 09.11.2021)

Cirkovic S. M. (2004). The Serbs, Translated by Vuk Tosic, Blackwell Publishing

Douglas A. Howard. (2017) A History of the Ottoman Empire, Cambridge, Cambridge University Press.

Györe Z. (2006) Serbian Historiography and the Modern State, Pisa, Pisa University Press.

Psellos I. (1953) The History of the Roman Empire in the 14th Century, Constantinople, Vardas Publishing.

The Cambridge History of the Byzantine Empire (2008) c. 500–1492, edited by Jonathan Shepard, New Yourk, Cambridge University Press.

სტეფან დუშანის ოქრობეჭედი ივირონის მონასტრისადმი, იანვარი, 1346 წელი, ივირონის აქტები. (2008). შემდგენლები: ლეფორი ჟ., იკონომიდისი ნ., პაპახრისანთუ დ., კრავარი ვ., მეტრეველი ე., ტ. IV, თარგმანი ც. ბიბილეიშვილის, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

სტეფან დუშანის ოქრობეჭედი ივირონის მონასტრისადმი, აპრილი, 1346 წელი, ივირონის აქტები. (2008). შემდგენლები: ლეფორი ჟ., იკონომიდისი ნ., პაპახრისანთუ დ., კრავარი ვ., მეტრეველი ე., ტ. IV, თარგმანი ც. ბიბილეიშვილის, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.